

**საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის
პროექტის განხილვის პროცედურის
დაწყების შესახებ**

№ 141/2

19 მარტი, 2018 წელი

**„TRIPS („ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“) შეთანხმების ცვლილების ოქმი”
(N07-2/179; 13.03.2018)**

დასახელება

საქართველოს მთავრობა

ინიციატორი

საქ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტრო

აუტორი

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური
პოლიტიკის კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

13. 03. 2018.

შემოსვლის თარიღი

წამყვან კომიტეტზე - 20.03 - 26.04
სხვა კომიტეტებზე - 20.03 - 12.04

საკომიტეტო მოხმების საგარეულო თარიღი

21.03. - 04.05.

პლენარულ სხდომაზე
განხილვის საგარეულო თარიღი

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი;
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომიტეტი

კომიტეტები, რომელთა დასკვნა საყვარდებულოა

საქართველოს პარლამენტის ბიუროს ადგენს:

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და საპარლამენტო ფრაქციებში
დაიწიოს ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

ირაკლი კობახიძე



საქართველოს პარლამენტის ბიუროს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა


№141/2

2018 წელი, 19 მარტი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 253-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

დაევალოთ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის (წამყვანი კომიტეტი), საგარეო ურთიერთობათა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტებს განიხილონ საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი „TRIPS („ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“) შეთანხმების ცვლილების ოქმი“ (N07-2/179; 13.03.2018) და წამყვანმა კომიტეტმა გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე


ირაკლი კობახიძე



საქართველოს მთავრობა

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის 1¹ პუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ „TRIPS („ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“) შეთანხმების ცვლილების ოქმის“ რატიფიცირების თაობაზე.

აღნიშნულ ოქმზე საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მომხსენებლებად დანიშნულნი არიან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეები ირმა ქავთარაძე და გენადი არველაძე, ხოლო საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე მომხსენებლებად დანიშნულნი არიან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე და საქართველოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილიძე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი



№8062
13.03.2018



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№551 2018 წლის 12 მარტი ქ. თბილისი


„TRIPS („ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“) შეთანხმების ცვლილების ოქმის“ საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლებად ი. ქავთარაძის, გ. არველაძისა და ნ. გოგილიძის დანიშვნის თაობაზე

1. საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის 1¹ პუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის წარედგინოს „TRIPS („ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“) შეთანხმების ცვლილების ოქმი“.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილ ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნულ ოქმზე საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მომხსენებლებად დაინიშნონ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეები ირმა ქავთარაძე და გენადი

არველაძე, ხოლო საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე და საქართველოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილიძე.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი



საქართველო



6186-01-2-201802190910

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/6186

19/02/2018

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, ამავე კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის მიზნით, გიგზავნით „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ შეთანხმების ცვლილების ოქმის ინგლისურენოვანი ტექსტისა და ქართულენოვანი ოფიციალურად დამოწმებული თარგმანის ასლებს, შესაბამისი უწყებების დასკვნებით, შეთანხმების ფურცლითა და განმარტებითი ბარათის თანხლებით.

აქვე, გაცნობებთ, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, ხსენებული ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს მიერ ზემოაღნიშნული ცვლილების ოქმის მიღების ვადა გაგრძელდა 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული ოქმის პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, პლენარულ სხდომებზე მოხსენების გაკეთების მიზნით, წარმოგიდგენთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეების, ქალბატონი ირმა ქავთარაძისა და ბატონი გენადი არველაძის კანდიდატურებს. ასევე, საკომიტეტო მოსმენებზე თანამომხსენებლად წარმოგიდგენთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის, ბატონი გენადი არველაძისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტი“ თავმჯდომარის, ბატონი ნიკოლოზ გოგილაძის კანდიდატურებს.

- დანართი: - ოქმის ქართულენოვანი თარგმანი;
 - ოქმის ინგლისურენოვანი ტექსტი;
 - უწყებების დასკვნები;
 - განმარტებითი ბარათი;
 - შეთანხმების ფურცელი;
 - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილი.
 (ჯამი: 32 გვერდი).

პატივისცემით,
დავით ზალკალიანი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი - მ.შ.



0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01

www.mfa.gov.ge



საქართველო



45944-01-2-201712251641

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/45944
25/12/2017

დასკვნა

**„ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“
შეთანხმების ცვლილების ოქმის თაობაზე**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ შეთანხმების ცვლილების ოქმი და ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი დოკუმენტის საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარება.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე



KA020112741400418

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭავჭავაძის ქ. №10* (ყოფილი ბელინსკი)
10*, Chovelidze str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05

Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 07/942

09 / თებერვალი / 2018 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის
დირექტორს
ქალბატონ ირინე ბართაიას

ქალბატონო ირინე,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი 2017 წლის 27 დეკემბრის N01/46182 წერილი, რომელიც ეხება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის "ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ" შეთანხმების ცვლილების ოქმის შესახებ საქართველოს შესაბამისი უწყებების მიერ წარმოდგენილ დასკვნებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შიზანშეწონილად მიაჩნია საქართველო შეუერთდეს ხსენებულ ოქმს.

შემდგომი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელების მიზნით, გიგზავნით საქართველოს შესაბამის უწყებებთან შეთანხმებულ ზემოაღნიშნული ოქმის ქართულენოვან და ინგლისურენოვან ვერსიებს, შეთანხმების ფურცელს და განმარტებით ბარათს.

ამასთან, საქართველოს პარლამენტში პლენარულ სხდომებზე მოხსენების გაკეთების მიზნით, წარმოგიდგენთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოადგილეების, ქალბატონი ირმა ქავთარაძის და ბატონი გენადი არველაძის კანდიდატურებს.

ასევე, საკომიტეტო მოსმენებზე თანამომხსენებლად, წარმოგიდგენთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოადგილის, ბატონი გენადი არველაძის და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტი“ თავმჯდომარის, ბატონი ნიკოლოზ გოგილიძის კანდიდატურებს.


დანართი: 20 ფურცელი.

პატივისცემით,

2/12/2018

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დეპარტამენტის
უფროსი, პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი



მარიამ გაბუნია



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№6986

14 / ნოემბერი / 2017 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს


საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2017 წლის 23 აგვისტოს №01/30949 წერილით წარმოდგენილი „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ შეთანხმების („TRIPS“) ცვლილების ოქმი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ, უპირველეს ყოვლისა, წარმოდგენილი ოქმის სავალდებულოდ აღიარებისა და მისი შინაარსის მიზანშეწონილობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი კომპეტენტური უწყებების პოზიცია.

ამასთან, აქვე შევნიშნავთ, რომ ცვლილების ოქმსა და მის დანართში მოცემულ ტერმინს – „სავალდებულო ლიცენზია“/„Compulsory Licence“ და მასთან დაკავშირებულ ამავე ცვლილებების ოქმით განსაზღვრულ რეგულაციებს საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს. შესაბამისად, აღნიშნული გარემოება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ცვლილებების ოქმის სავალდებულოდ აღიარების საკითხის განხილვისას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, „TRIPS შეთანხმების დანართის“ პირველი მუხლის „ა“ პუნქტთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ მასში მოცემული „ფარმაცევტული პროდუქტის“ განმარტება განსხვავდება „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1¹-ლი მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული ტერმინის – „ფარმაცევტული პროდუქტის“, განმარტებისგან.

ამასთან, ცვლილებების ოქმის საქართველოსთვის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ, ვინაიდან 2000 წლის 20 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელი მარაკეის შეთანხმება“, ხოლო ამ შეთანხმების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დანართი №1-ით წარმოდგენილი „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ შეთანხმება („TRIPS“) წარმოდგენს მის განუყოფელ ნაწილს, ხსენებულ დანართში ცვლილების ოქმი, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი
მოდგილე



ალექსანდრე ზარაშიძე



საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

N 08-02/166581
03/11/2017



166581-08-02-2-201711031103

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

თქვენი 2017 წლის 23 აგვისტოს №01/30949 წერილით წარმოდგენილ „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტების შესახებ შეთანხმების“ ცვლილების ოქმის ტექსტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ არის წინააღმდეგი აღნიშნული ოქმის სავალდებულოდ აღიარებასთან დაკავშირებით.

ოთარ იაშაღაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

იურიდიული დეპარტამენტი



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA



KA030111904653017

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი: (+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 33; 15 05; ელ. ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia, Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax: (+995 32) 251 00 19; Hot line: (+995 32) 251 00 33, 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/56142

01 / სექტემბერი / 2017 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორს ქალბატონ ირინე ბართაიას

ქალბატონო ირინე,

თქვენი 2017 წლის 23 აგვისტოს №01/30949 წერილის პასუხად, რომელიც ეხება „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტების შესახებ შეთანხმების“ ცვლილების ოქმს, გაცნობებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

მარინა მკურნალი



KA020187815692117

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭოველიძის ქ. №10^ა (ყოფილი ზელინსკი)
10^ა, Chovelidze str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05

Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 07/5145

15 / აგვისტო / 2017 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ირინე ბართაიას

ქალბატონო ირინე,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი მწლის 18 ივლისის N01/26462 წერილი, რომელიც ეხება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის "ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ" შეთანხმების ცვლილების ოქმის რატიფიცირებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველო მიუერთდეს ზემოხსენებულ ოქმს და შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების მიზნით, გიგზავნით ოქმის ინგლისურენოვან ტექსტს, მის ქართულენოვან თარგმანს და განმარტებით ბარათს.

დანართი: 17 ფურცელი.

პატივისცემით,

საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დეპარტამენტის
უფროსი, პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი

მარიამ გაბუნია

განმარტებითი ბარათი

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების
ცვლილებათა ოქმზე
(TRIPS Protocol)

ზოგადი ინფორმაცია

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (მსო) არის მსოფლიოში არსებული ერთადერთი მთავრობათაშორისი ორგანიზაცია, რომელიც არეგულირებს და მონიტორინგს უწევს საერთაშორისო ვაჭრობას. დღეის მდგომარეობით, ორგანიზაცია შედგება 164 წევრი სახელმწიფოსგან. ორგანიზაცია წარმოადგენს საერთაშორისო ფორუმს, სადაც წევრ ქვეყნებს საშუალება ეძლევათ აწარმოონ სავაჭრო მოლაპარაკებები, მოაგვარონ მათ შორის არსებული სავაჭრო დავები. აგრეთვე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია აკეთებს წევრი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკის მიმოხილვას და უზრუნველყოფს განვითარებადი ქვეყნებისთვის ვაჭრობის საკითხებში ტექნიკური მხარდაჭერის და ცნობადობის ამალღების პროგრამების განხორციელებას.

საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანდა 2000 წლის 14 ივნისს და შესაბამისად აღებული აქვს ყველა ის ვალდებულება, რაც გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის წევრობიდან, კერძოდ, სანოტიფიკაციო ვალდებულება, რომელიც გულისხმობს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე რეგულარული შეტყობინების გაგზავნას მსო-ს სამდივნოსთვის და იმ ვალდებულებებს, რომელიც დადგენილია მსო-ს შეთანხმებებით.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმება არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელი მარაკემის შეთანხმების განუყოფელი ნაწილი და წარმოადგენს მის დანართს, რომელიც სავალდებულოა საქართველოსთვის.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის 2001 წლის დოკას მინისტრიალზე მიღებულ იქნა დეკლარაცია სახელწოდებით „ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების ასპექტები და საზოგადოებრივი ჯანდაცვა“. დეკლარაციის ფარგლებში ერთხმად იქნა აღიარებული საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები განვითარებად და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში და ხაზი გაესვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ მსო -ს შეთანხმების (TRIPS) მნიშვნელოვან როლს ამ პრობლემების მოგვარების კუთხით.

TRIPS-ის შეთანხმება აღიარებს წევრი ქვეყნების უფლებას დაიცვან საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და განსაკუთრებით, ხელი შეუწყონ მათ ხელმისაწვდომობას მედიკამენტებზე საჭიროების შემთხვევებში.

დეკლარაციის მე-6 პუნქტში აღნიშნულია, რომ ის წევრი ქვეყნები, რომლებსაც არ აქვთ ან აქვთ წარმოების არასაკმარისი შესაძლებლობა ფარმაცევტულ სექტორში, უძნელდებათ სავალდებულო ლიცენზირების¹ სისტემის ეფექტური გამოყენება TRIPS-ის შეთანხმების თანახმად.

¹ სავალდებულო ლიცენზირება არის პროცესი როდესაც პატენტის მფლობელი შესაძლოა გახდეს ვალდებული (იძულებული) უზრუნველყოს ხელმისაწვდომობა დაპატენტებულ გამოგონებაზე ანაზღაურების სანაცვლოდ. სავალდებულო ლიცენზიის მინიჭება ხდება მთავრობის მიერ როდესაც პატენტის გამოყენების უფლება გაიცემა პატენტის მფლობელის ნებართვის გარეშე.

ი.ქიქოძე
23.02.2018

პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, 2003 წელს გენერალურმა საბჭომ მიიღო დროებითი გადაწყვეტილება (waiver) რაც საშუალებას აძლევდა ფარმაცევტულ სექტორში შეზღუდული წარმოების ან წარმოების არ მქონე ქვეყნებს, სავალდებულო ლიცენზირების საფუძველზე განეხორციელებინათ დაპატენტებული მედიკამენტების იმპორტი სხვა ქვეყნებიდან.

2005 წლის ჰონგ-კონგის მინისტრიალზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რომ ზემოხსენებული დროებითი ზომა (waiver) გარდაქმნილიყო მუდმივმოქმედ ღონისძიებად და შესულიყო როგორც ცვლილება TRIPS-ის შეთანხმებაში. აღნიშნულის საფუძველზე შეიქმნა TRIPS-ის შეთანხმების ცვლილების ტექსტი, შემდგომში TRIPS-ის ოქმი (TRIPS Protocol). TRIPS-ის შეთანხმების ცვლილების თანახმად, შეთანხმების 31-ე მუხლს ემატება 31 bis მუხლი და ასევე 73-ე მუხლის შემდეგ ემატება დანართი.

ოქმის არსი და მიზნები

ოქმის მთავარი მიზანი არის მსო-ს ღარიბ ქვეყნებს მისცეს მედიკამენტებზე უკეთესი ხელმისაწვდომობის საშუალება. წევრ ქვეყნებს, რომელთაც არ გააჩნიათ ფარმაცევტულ სექტორში წარმოების შესაძლებლობა ან აქვთ ამის შეზღუდული უნარი, ეს ოქმი მათ აძლევს საშუალებას განახორციელონ დაპატენტებული ფარმაცევტული პროდუქტების იმპორტი სხვა წევრი ქვეყნებიდან სავალდებულო ლიცენზიის საფუძველზე.

ოქმი მიზნად ისახავს გაუმარტივოს მსო-ს ნაკლებად განვითარებულ და განვითარებად წევრებს ხელმისაწვდომობა დაპატენტებულ მედიკამენტებზე საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, ისეთების როგორებიცაა მაგალითად მალარია, შიდსი და სხვა ეპიდემიური თუ პანდემიური დაავადებები.

მთავარი ცვლილება მდგომარეობს იმაში, რომ TRIPS-ის შეთანხმების მუხლი 31(f) ადგენს, რომ სავალდებულო ლიცენზიის ქვეშ ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ ქვეყნის ადგილობრივი ბაზრის მოხმარების მიზნით, რომელშიც ლიცენზია იქნა გაცემული. ხოლო აღნიშნული ცვლილება მუხლი 31 bis სახით საშუალებას აძლევს წევრ სახელმწიფოს გასცეს სავალდებულო ლიცენზია ფარმაცევტულ პატენტზე და მოახდინოს მისი ექსპორტირება იმ ნაკლებად განვითარებულ წევრ სახელმწიფოში, რომელსაც იგი იმ მომენტისთვის ესაჭიროება.

ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებები

ოქმთან მიერთებით საქართველოს არ ეკისრება რაიმე დამატებითი ან ახალი ვალდებულება. ოქმი აწესებს მექანიზმებს, რომლის შესაბამისობაში უნდა მოვიდეს მსო-ს წევრი ქვეყანა იმის გათვალისწინებით იგი იქნება იმპორტიორი თუ ექსპორტიორი ქვეყანა TRIPS-ის შეთანხმების 31 bis მუხლის და დანართის თანახმად დადგენილი ახალი სისტემის შესაბამისად.

ნ. ჯიქია
23.02.2018

იმპორტიორი ქვეყანა არის ნაკლებად განვითარებული ან განვითარებადი ქვეყანა, რომელსაც განზრახული აქვს გამოიყენოს ლიცენზირების სისტემა და მოახდინოს კონკრეტული ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტი საჭიროებიდან გამომდინარე.

ექსპორტიორი ქვეყანა არის ძირითადად განვითარებული ქვეყანა რომელიც იყენებს სისტემას რათა აწარმოოს ფარმაცევტული პროდუქტი სავალდებულო ლიცენზიის წესით და მიაწოდოს იგი იმპორტიორ ქვეყანას საჭიროების შესაბამისად.

ზოგადად, სახელმწიფოები აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას იქნებიან ექსპორტიორი თუ იმპორტიორი მხარეები. შესაბამისად, ექსპორტის განხორციელება არის ნებაყოფლობითი და დამოკიდებულია კონკრეტული სახელმწიფოს გადაწყვეტილებაზე.

საქართველოს ორივე შემთხვევაში შეუძლია დააფიქსიროს თავისი პოზიცია და ისარგებლებს თუ არა ოქმით შემოთავაზებული სისტემით და რა სტატუსით ჩაერთვება მასში.

ასევე, აღნიშნული სისტემის საფუძველზე გაცემული სავალდებულო ლიცენზია ექვემდებარება სათანადო ანაზღაურებას პროდუქტის ეკონომიკური ღირებულების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ოქმით გათვალისწინებული სისტემა არ ახდენს უფლების მფლობელის ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფით ზეგავლენას და შესაბამისად არც ექსპორტიორ სახელმწიფოზე.

როგორც აღინიშნა, ამ სახის ექსპორტის საფუძველი შეიძლება იყოს კონკრეტული ფარმაცევტული საშუალების წარმოების ინფრასტრუქტურის არარსებობა ან მცირე შესაძლებლობა, რაც დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისთვის.

სისტემის გამოყენება შესაძლებელია როგორც გადაუდებელ შემთხვევებში ასევე ჩვეულებრივ პირობებში TRIPS-ის საბჭოსთვის მედიკამენტების საჭიროების შესახებ შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.

ნ. ნიკო
23.02.2018

შეთანხმების ფურცელი

“ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ” შეთანხმების ცვლილების ოქმთან დაკავშირებით

N	სამინისტრო	შენიშვნა	გათვალისწინება
	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	<ol style="list-style-type: none"> წარმოდგენილი ოქმის სავალდებულოდ აღიარებისა და მისი შინაარსის მიზანშეწონილობის განსაზღვრისას მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი კომპეტენტური უწყებების პოზიცია. ცვლილების ოქმსა და მის დანართში მოცემულ ტერმინს - „სავალდებულო ლიცენზია“/“compulsory license” და მასთან დაკავშირებულ ამავე ცვლილების ოქმით განსაზღვრულ რეგულაციებს საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს. შესაბამისად, აღნიშნული გარემოება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ცვლილების ოქმის სავალდებულოდ აღიარების საკითხის განხილვისას. 	<p>გათვალისწინებულია</p> <p>2017 წლის 23 დეკემბერს მიღებულ იქნა აქტი საქართველოს საპატენტო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 სექტემბრიდან. აღნიშნული ცვლილებით, საქართველოს საპატენტო კანონს დამატდა 52 მუხლი სახელწოდებით „სავალდებულო ლიცენზია“, რომელიც განმარტავს სავალდებულო ლიცენზიასთან დაკავშირებულ წესებს და პირობებს.</p>

ი. ქიქოძე 23.02.2018

	<p>3. "TRIPS შეთანხმების დანართის" პირველი მუხლის "a" პუნქტთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ მასში მოცემული "ფარმაცევტული პროდუქტის" განმარტება განსხვავდება "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული ტერმინის - "ფარმაცევტული პროდუქტის" განმარტებისგან.</p> <p>4. ცვლილებების ოქმის საქართველოსთვის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ ვინაიდან 2000 წლის 20 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა "მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელი მარაკემის შეთანხმება", ხოლო ამ შეთანხმების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დანართი NI-ით წარმოდგენილი "ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ" შეთანხმება (TRIPS) მის განუყოფელ ნაწილს, ხსენებულ დანართში ცვლილების ოქმი, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.</p>	<p>არ არის გათვალისწინებული</p> <p>"TRIPS შეთანხმების დანართის" პირველი მუხლის "a" პუნქტი მოკლედ განმარტავს ფარმაცევტულ პროდუქტს, ხოლო "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში ჩაშლილია სექტორი კანონის 1' მუხლის მე-13, მე-13' და მე-14 პუნქტებში</p> <p>გათვალისწინებულია</p>
--	--	---

ი.ქიქოძე 23.02.2018

<p>საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო</p> <p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p> <p>საქართველოს სრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p> <p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<p>მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი დოკუმენტის საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარება.</p> <p>არ არის წინააღმდეგი აღნიშნული ოქმის სავალდებულო აღიარებასთან დაკავშირებით.</p> <p>კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია</p> <p>მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველო მიუერთდეს ხსენებულ ცვლილების ოქმს</p>	
--	--	--

ი.ჩუგუაძე 23.02.2018

**„ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“
შეთანხმების ცვლილება - წევრების მიერ „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან
დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ შეთანხმების ცვლილების ოქმის მიღების ვადის მე-6
გაგრძელება**

2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება

გენერალურმა საბჭომ,

ახორციელებს რა შეხვედრებს შორის პერიოდში მინისტრთა კონფერენციის ფუნქციებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელი მარაკემის შეთანხმების მე-4 მუხლის მე -2 პუნქტის შესაბამისად (შემდგომში მსო - შეთანხმება)

ითვალისწინებს რა „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ შეთანხმების ცვლილების შესახებ გენერალური საბჭოს 2005 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების მე-2 პუნქტს (შემდგომში „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ შეთანხმების ცვლილების გადაწყვეტილება“) და „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ შეთანხმების ცვლილების ოქმის მე-3 პუნქტს (შემდგომში „ოქმი“)¹, რომელიც განსაზღვრავს წევრების მიერ ოქმის მიღების თარიღად არაუგვიანეს 2007 წლის პირველ დეკემბერს ან მინისტრთა კონფერენციის მიერ გადაწყვეტილ ანალოგიურ გვიანდელ თარიღს;

უხმიანება რა, რომ გენერალურმა საბჭომ 2015 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით (შემდგომში 2015 წლის გადაწყვეტილება გაგრძელების შესახებ)² გააგრძელა წევრების მიერ ოქმის მიღების პერიოდი მეხუთე ვადით 2017 წლის 31 დეკემბრამდე ან მინისტრთა კონფერენციის მიერ გადაწყვეტილ ანალოგიურ გვიანდელ თარიღამდე;

უხმიანება რა „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ შეთანხმების ცვლილების გადაწყვეტილების მე-3 პუნქტს და ოქმის მე-4 პუნქტს, ოქმი ამოქმედდა და შევიდა ძალაში 2017 წლის 23 იანვარს წევრთა ორი მესამედის მიერ, იგივე სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმების X მუხლის მე-3 პუნქტის დებულების შესაბამისად, ამ თარიღში, ან ამ თარიღამდე მიღებით;

აღნიშნავს რა, რომ ოქმი თითოეული სხვა წევრისთვის ძალაში შევიდა მისი მიღებით, მსო შეთანხმების X მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

¹ WT/L/641

² WT/L/965

ასევე, აღნიშნავს რა, რომ გარკვეულ წევრებს ჯერ არ მიუღიათ ოქმი და ეს მოითხოვს უფრო მეტ დროს, ვიდრე თავდაპირველად იყო გათვალისწინებული:

ითვალისწინებს რა, საბჭოს მიერ (IP/C/78) „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ შეთანხმების ოქმის მიღების ვადის შემდგომი გაგრძელების შესახებ წინადადებას;

გადაწყვიტა შემდეგი:

„ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ შეთანხმების ცვლილების გადაწყვეტილების მე 2 პუნქტისა და ოქმის მე 3 პუნქტის და 2015 წლის გაგრძელების გადაწყვეტილების შესაბამისად, წევრების მიერ „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ შეთანხმების ცვლილების ოქმის მიღების ვადა, გაგრძელებულ იქნას 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ან მინისტრთა კონფერენციის მიერ გადაწყვეტილ ანალოგიურ გვიანდელ თარიღამდე.

ა.ო.
23/02/2018.

მსოფლიო სავაჭრო
ორგანიზაცია

8 დეკემბერი 2005

(05-5842)

TRIPS („ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“) შეთანხმების ცვლილება

2005 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება

გენერალური საბჭო,

მხედველობაში იღებს რა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელი მარაკემის შეთანხმების („მსო შეთანხმება“) X მუხლის პირველ პუნქტს;

ითავსებს რა მინისტრთა კონფერენციის ფუნქციებს მსო-ს შეთანხმების IV მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შეხვედრებს შორის ინტერვალებში;

აღნიშნავს რა TRIPS შეთანხმებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ დეკლარაციას (WT/MIN(01)/DEC/2) და, კერძოდ, მინისტრთა კონფერენციის მიერ TRIPS-ის საბჭოსადმი ინსტრუქციას, რომელიც მოცემულია დეკლარაციის მე-6 პუნქტში და რომლის მიზანიც არის დაჩქარებული წესით გადაწყდეს პრობლემა, რომელიც უკავშირდება TRIPS-ის შეთანხმების საფუძველზე არსებული სავალდებულო ლიცენზირების ეფექტურ გამოყენებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის იმ წევრების მიერ, რომელთაც არ გააჩნიათ ან გააჩნიათ წარმოების არასაკმარისი შესაძლებლობა ფარმაცევტულ სექტორში;

აღიარებს რა უფლებამოსილი იმპორტიორი წევრების მიერ TRIPS-ის შეთანხმების ცვლილებით გათვალისწინებული სისტემის საფუძველზე მარაგის მოპოვების მცდელობისას, საჭიროებებზე მყისიერი საპასუხო მოქმედების მნიშვნელობას, რომელიც შეესაბამება TRIPS-ის შეთანხმების ცვლილებით გათვალისწინებულ დებულებებს;


მითითებას აკეთებს რა TRIPS შეთანხმებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ დოჰას დეკლარაციის მე-6 პუნქტის იმპლემენტაციის თაობაზე გენერალური საბჭოს 2003 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილების მე-11 პუნქტზე;

ითვალისწინებს რა TRIPS-ის საბჭოს მიერ წარმოდგენილ წინადადებას TRIPS-ის შეთანხმების ცვლილების თაობაზე (IP/C/41);

აღნიშნავს რა ინიცირებული ცვლილების წევრთა მიერ მიღებისთვის წარდგენის შესახებ კონსენსუსს;

იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:

1. წინამდებარე გადაწყვეტილებაზე თანდართული TRIPS-ის შეთანხმების ცვლილების შესახებ ოქმი მიღებულია და წარედგინა წევრებს მისაღებად.
2. ოქმი წევრების მიერ მისაღებად ღიაა 2007 წლის 1 დეკემბრამდე ან იმ შემდგომ თარიღამდე, რომლის დადგენაც შეიძლება გადაწყდეს მინისტრთა კონფერენციის მიერ.
3. ოქმი ძალაში შედის მსო-ს შეთანხმების X მუხლის მე-3 პუნქტის დებულებების შესაბამისად.

 23.02.2008

დანართი

TRIPS („ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“) შეთანხმების ცვლილების ოქმი


მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები;

მხედველობაში იღებენ რა WT/L/641 დოკუმენტში მოცემულ გენერალური საბჭოს გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულ იქნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელი მარაკემის შეთანხმების („მსო-ს შეთანხმება“) X მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

თანხმდებიან შემდეგზე:

1. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმება („TRIPS შეთანხმება“), მე-4 პუნქტის შესაბამისად ოქმის ძალაში შესვლით, იცვლება წინამდებარე ოქმის დანართის მიხედვით, რაც მოიცავს 31-ე მუხლის შემდგომ 31bis მუხლის ჩასმას და TRIPS შეთანხმების 73-ე მუხლის შემდგომ დანართის ჩასმას.
2. სხვა წევრთა თანხმობის გარეშე, წინამდებარე ოქმის ნებისმიერ დებულებასთან მიმართებით, არ შეიძლება დათქმების გაკეთება.
3. ოქმი წევრების მხრიდან მისაღებად ღიაა 2007 წლის 1 დეკემბრამდე ან იმ შემდგომ თარიღამდე, რომელიც შეიძლება დადგინდეს მინისტრთა კონფერენციის მიერ.
4. წინამდებარე ოქმი ძალაში შედის მსო-ს შეთანხმების X მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.
5. წინამდებარე ოქმი, დეკონირებისთვის გადაეცემა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს, რომელიც დაუყოვნებლივ მიაწოდებს თითოეულ წევრს ამ ოქმის დამოწმებულ ასლებს და ასევე, ოქმზე შეერთების შესახებ არსებულ თითოეულ შეტყობინებას მე-3 პუნქტის თანახმად.
6. წინამდებარე ოქმი რეგისტრირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის დებულებების შესაბამისად.

შესრულებულია ენევაში, ორი ათას ხუთი წლის დეკემბრის თვის მეექვსე დღეს, ერთ დედნად, ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ყოველი ტექსტი თანაბრად ავთენტურია.



23.02.2018

TRIPS („ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“) შეთანხმების ცვლილების ოქმის დანართი

31bis მუხლი

1. 31(f) მუხლის შესაბამისად დადგენილი ექსპორტიორი წევრის ვალდებულებები არ ვრცელდება მის მიერ გაცემულ სავალდებულო ლიცენზიაზე იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ფარმაცევტული პროდუქტის(ების) დამზადების მიზნებისთვის და მის ექსპორტზე უფლებამოსილ იმპორტიორ წევრთან (ებთან) ამ შეთანხმების დანართის მე-2 პუნქტში დადგენილი პირობების შესაბამისად.
2. როდესაც სავალდებულო ლიცენზია ექსპორტიორი წევრის მიერ გაიცემა ამ შეთანხმების დანართსა და წინამდებარე მუხლში გაწერილი სისტემის საფუძველზე, 31(h) მუხლის შესაბამისად ადეკვატური კომპენსაცია უნდა იქნეს გადახდილი ამ ექსპორტიორი წევრისათვის, იმპორტიორი წევრის ეკონომიკური ღირებულების მხედველობაში მიღებით რომელიც გამომდინარეობს მის მიერ ექსპორტიორ ქვეყანაში მიღებული ავტორიზაციის გამოყენებით. როდესაც სავალდებულო ლიცენზია გაიცემა ერთსა და იმავე პროდუქტზე უფლებამოსილი იმპორტიორის წევრ ქვეყანაში, 31(h) მუხლით დადგენილი ამ წევრის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პროდუქტებთან მიმართებით, რომლებზეც კომპენსაციის გადახდა მოხდა ექსპორტიორ ქვეყანაში ამ პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად.
